თ ა ნ ხ მ ო ბ ა

18.12.2019

მე, კახა თიქრია (პ/ნ 19001005878), ვაცხადებ თანხმობას შემდეგზე: ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ჩალიპირები, სასოფლო-სამეურნეო ფუნქციის მქონე მიწის ნაკვეთზეს/კ 01.72.14.034.136შპს „ინვესტ დეველოპმენტი“ ს/კ: 400143233 უფლებამოსილია ცალმხრივად განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები, განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, უფლებამოსილია შეათანხმოს განაშენიანების რეგულირების გეგმა, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მისი კორექტება, შეათანხმოს არქიტექტურული პროექტი და აიღოს მშენებლობის ნებართვა საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს შეთანხმებული პროექტის კორექტირება, იყოს პროექტის დამკვეთი, მშენებლობის მწარმოებელი პირი,მოახდინოს მშენებარე ფართების განაწილება და მათი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, განსაზღვროს სართული, ბინის/ოფისის/კომერციული ფართის ნუმერაცია, კორექტირების შედეგად ბინის/ოფისის/კომერციული ფართის ნომრის, ცვლილება. მშენებარე მრავალფუნქციურიკორპუსის ექსპლუატაციაში მიღებამდე (იგულისხმება მშენებარე კორპუსი) მართვისა და განკარგვის უფლებით გადასცემს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საკუთარ წილს საერთო საკუთრებიდან და მიწის ნაკვეთიდან, რომლის საფუძველზეც შპს „ინვესტ დეველოპმენტი“ ს/კ: 400143233 ცალმხირვად: განახორციელოს მიწის ნაკვეთის (იგულისხმება ის მიწის ნაკვეთი,რომელზეც მდებარეობს წინამდებარე გარიგებით განსაზღვრული უძრავი ქონება) გამიჯვნა, გაერთიანება, მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვა, მიწის ნაკვეთის (წითელი ხაზების) კორექტირება. ასევე ვეთანხმები არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილ განცხადებას AR1724343, რომლითაც ვითხოვთ სადემონტაჟო პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარებას.

კახა თიქრია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191525649
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.12.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე ძულიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2517800 599589966
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	37207877869319

დღეს, ორიათას ცხრამეტი წლის თვრამეტ დეკემბერს, მე საქართველოს ნოტარიუსს ეკატერინე ძულიაშვილს, სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტ. კორპ. 7 ბინა 1ა-ში, მომმართა მოქალაქე კახა თირქიამ, რომელმაც წარმოადგინა თანხმობა (ორ ეგზემპლარად) და ითხოვა თანხმობაზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად კახა თირქიამ /დაბ. 29.09.1967 წელს, მის. თბილისი, კოსმონავტების სანაპ. N 49, ბინა 88, პ# 19001005878/ მომმართა.

შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

ხელმომწერს განვუმარტე, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს წინამდებარე თანხმობის შინაარსს და მასში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან წინამდებარე აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა წარმოდგენილ თანხმობას, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 4.00 ლარი თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 507 დადგენილების 31 მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი თანახმად ამავე დადგენილების 39 მუხლისა, სულ გადახდილია 6.00 ლარი (ორი ეგზემპლარისთვის).

ნოტარიუსი _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18